ხაშურის მოამბე

№1(423) 11 იანვარი, ხუთშაბათი, 2024 წელი

თენგიზ ჩიტიაშვილი: ჯანმრთელობას და ულევ სიყვარულს ვუსურვებ მუნიციპალიტეტის მთელს მოსახლეობას

ტრადიციულად, ყოველი წლის დასაწყისში, გაზეთის პირველ ნომერში, ჩვენს მკითხველს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელს ვახვედრებთ ხოლმე, რომელიც, ერთგვარად, აჯამებს გასულ წელს და სამომავლო პერიპეტიებზეც საუბრობს. ტრადიციას არც ამჯერად ვარღვევთ და გთავაზობთ ინტერვიუს მუნიციპალიტეტის მერთან თენგიზ ჩიტიაშვილთან.

- ბატონო თენგიზ, 2023 წლით დავიწყოთ, როგორი იყო გასული წელი ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის?

- წარმატებული წელი იყო, როგორც ქვეყნისთვის, ისე რაიონისთვის. დავიწყებ იმით, რომ ქვეყნის ეკონომიკური მაჩვენებელის ზრდა, იცით, რომ რამდენიმე ნიშნულზეა.ფაქტი ის არის, რომ წლევანდელი ადგილობრივი ბიუჯეტი ჩვენ დაახლოებით ორი მილიონი ლარით მოგვემატა. გარდა ამისა, რეგიონული ფონდის თანხაც, ანალოგიურად, ორ მილიონზე მეტი თანხით არის გაზრდილი, რაც მომავალ წელს გვექნება გამოსაყენებელი. ბევრი ინფრასტრუქტურული პროექტი გაკეთდა ხაშურის მასშტაბით, მართლაც. მოგვეცა საშუალება, რომ სოციალური პროგრამები უფრო მეტად დაგვეფინანსებინა, იგივე ჯანდაცვის პროგრამები. რაც ყველაზე მეტად მტკივნეული და სენსიტიურია ჩვენი მოსახლეობისათვის. ფაქტობრივად, 2023 წელს, ჩვენ, აღნიშნული მიმართულებით, ჯანდაცვის კუთხით, მთლიანად გავხსენით კარები. ვაფინანსებთ ყველაფერს, აღარ გვაქვს შეზღუდვები. ზუსტად აი, ამ ეკონომიურმა ზრდამ მოგვცა ამის შესაძლებლობა. 2024 წელს უფრო მეტს შევძლებთ.

- **2024 წელი, რას ველით, პრიორიტეტები...**

- 2024 წლის პრიორიტეტი ისევ ინფრასტრუქტურა, პირველ რიგში, რა თქმა უნდა, იმიტომ, რომ ბევრჯერ მკითქვამს, მართლა ასეა, რომ ამ ქალაქში ათწლეულები ინფრასტრუქურის მიმართულებით, ბევრი ვერაფერი კეთდებოდა და სამწუხაროდ, დაგროვდა პრობლემები და ვერც სამი და ვერც ოთხი წელი ვერ უშველის ამის გამოსწორებას. ყველაზე მთავარი თემა, რაც არის, წელს დაიწყო ის დიდი პროექტი წყლისა და წყალარინების. ეს არის 225 მილიონიანი პროექტი და პლიუს ჩვენ მოვახერხეთ ის, რომ 25 მილიონი დაემატა ამ პროექტს და სრულად ხაშურში მოხდება რეაბილიტაცია.

- **რა ეტაპზეა პროექტის მიმდინარეობა?**

- ფაქტობრივად, დასრულდა წყლის დაქსელვა შინდარაში, ღუდასა და ცხრამუხაში, ახლა მიმდინარეობს წყლისა და წყალარინების სისიტემის დაქსელვა ჭალისა და „ემტეესის“ დასახლებაში. პროექტი ხუთწლიანია. პირველი ეტაპია დაქსელვა და რატო არის პირველი ეტაპი, მთავარი და მნიშვნელოვანი? ჩვენ, ხაშურში რაც გვაქვს პრობლემა, ეს არის საგზაო ინფრასტრუქტურა და ველოდებით ამას, როცა დასრულდება. უკვე დავიწყეთ ჩვენ გზების პროექტირება ხაშურში, ქუჩების დაპროექტება. როგორც კი დასრულდება გაყვანილობა და დაქსელვა, რომ დავიწყოთ უკვე ქუჩების მოასფალტება.

აღნიშნულ პროექტში ჩვენ არ გვაქვს ზედამხედველობის ფუნქცია, მაგრამ იმაზე მეტად ვართ ჩართულები, ვიდრე შესაძლებელია. პრიორიტეტებს ჩვენ ვირჩევთ, ვთანამშრომლობთ. ვურჩევთ, რა უფრო ჯობია პირველ ეტაპზე გაკეთდეს. ანგარიშს გვიწევენ.

- **2024 წლის მთავარი გამოწვევა ხაშურისათვის?**

- 2024 წლის მთავარი გამოწვევა, რასაც დავაკვირდი ბოლო ორი წელი, არის ადამიანებთან ურთიერთობა. მათ უნდა სჯეროდეთ შენი, რომ რასაც დაპირდები, იმას გააკეთებ. თორემ ქვეყანა რომ ვითარდება და ფინანსები შემოდის, იმის შესაძლებლობა არსებობს, რომ დაპირება შეასრულო. მე ყოველთვის თავს ვიკავებ რომ გარანტირებულად გავცე დაპირება, იმიტომ, რომ 100 პროცენტიანი არაფერი არ არის, ჯობს გააკეთო და არ დაპირდე., ვიდრე დაპირდე და არ გაუკეთო. ეს ურთიერთობა არის ყველაზე მთავარი გამოწვევა. ადამიანებს სჯეროდეთ შენი, შენი იმედი ჰქონდეთ და დაანახო მათ, რომ გტკივა ქალაქი, მათზე ზრუნავ. რა ვიცი, ამაზე დიდი გამოწვევა არაფერი არ არის.

- **თუ დაიწყო მზადება არჩევნებისთვის?**

- არა, ჯერ-ჯერობით აქტიური მზადება არ დაგვიწყია. როგორც „ქართული ოცნების“ თავმჯდომარე, კომუნიკაცია მაქვს პარტიულ აქტივთან. აქტიურ ფაზაში გადავალთ ალბათ გაზაფხულიდან.

- **და რას ველით?**

- გამარჯვებას, რა თქმა უნდა! იმიტომ რომ, მე ვფიქრობ, სწორად მივდივართ და ალტერნატივას ვერ ვხედავ. ფაქტია, რომ ეს ასეა. მე ყოველ;თვის ვმუშაობდი სახელმწიფო სამსახურებში სხვადასხვა დროს, შეცდომები ყველას მოსდის, მაგრამ რა მომწონს იცით? ჩვენი, შეგვიძლია ამ შეცდომების აღიარება და ვცდილობთ, რომ გამოვასწოროთ.

- **ბატონო თენგიზ, დავუბრუნდეთ საახალწლო განწყობებს. ტახის წელში ხართ დაბადებული და ტყუპები ხართ. თქვენი ზოდიაქო ასეთია: „მწვანე ხის დრაკონის წელი ტახს კეთილშობილების, პატიოსნებისა და გამბედაობისთვის დააჯილდოებს და ბევრ წარმატებას ჰპირდება. მეგობრებთან და საყვარელ ადამიანებთან ჰარმონიული ურთიერთობა გექნებათ.თუმცა,ძლიერიდაჯანსაღიურთიერთობებისდასამყარებლად, თანმიმდევრული და ტაქტიანი უნდა იყოთ, არ უნდა იქცეთ აგრესორად და არც მსხვერპლის როლში წარმოიდგინოთ საკუთარი თავი. სხვა შემთხვევაში ურთიერთობებში იდილია გარანტირებული გაქვთ.“რაც შეეხება ტყუპებს, პირველი ნახევარი არის კარგი და მეორე ნახევარი**

არის იდეალური. გჯერათ ზოდიაქოსი?

- რაღაცა დოზით კი. მაგრამ ყოველდღიურობაში არ ვხელმძღვანელობ ზოდიაქოთი.

- **წინა წლები გვახსოვს რომ ქუჩაში მოგიწიათ ახალი წლის შეხვედრამ. წელს როგორ შეხვდით ახალ წელს?**

- ოჯახში შევხვდი. ძალიან ისე, მოკრძალებულად.

- **თქვენი საახალწლო ოჯახური ტრადიცია?**

- ოჯახის წევრები, ყველა ერთმანეთისათვის ამზადებს საჩუქრებს.

- **თოვლის ბაბუას ელოდება ოჯახში ვინმე?**

- არა, გავიზარდეთ უკვე, გავიზარდეთ. (იღიმის).

- **ახალ წელს პირველი სადღეგრძელო ახალი წლის სადღეგრძელოა. მეორე სადღეგრძელო რა არის?**

- მე თუ ვარ თამადა, ყოველთვის ვაცილებ გასულ წელს. მადლობას ვუხდი, მიუხედავად ყველაფრისა.

- **ახალი წლის სასმელი?**

- ღვინო.

(დასასრული II გვერდზე)

თენგიზ ჩიტიაშვილი: ჯანმრთელობას და ულევ სიყვარულს ვუსურვებ მუნიციპალიტეტის მთელს მოსახლეობას

(დასასრული)

- **რამე განსაკუთრებული ჯიში?**

- მიყვარს „ქისი“. კახური ჯიშები უფრო მიყვარს.

- **ოჯახურ სამზადისში იღებთ მონაწილეობას, გოზინაყს ამზადებთ?**

- გოზინაყს არა, მაგრამ მაქსიმალურად, რაც შემიძლია, ვეხმარები მეუღლეს ყოველთვის. აი, მაგალითად ბაზარში მე დავდივარ საახალწლოდ

- **ხაშურში შეხვდით ახალ წელს?**

- კი, კი ხაშურში ვიყავი

- **შესაძლებლობა გაქვთ, გაზეთის მეშვეობით მიულოცოთ ახალი წელი მუნიციპალიტეტის მოსახლეობას...**

- პირველ რიგში, ჯანმრთელობა მინდა ვუსურვო, რადგან რაც ასაკში შევდივარ და შევედი უკვე, ჯანმრთელობაზე მაგარი არაფერი არ არის. როცა ჯანზე ხარ ადამიანი, უნარი გაქვს რომ ყველაფერი შეძლო, მთავარია მონდომება და მინდა, რომ ჯანმრთელები იყვნენ. და მერე, ყველაზე მთავარი, რის ნაკლებობასაც ვხედავ ადამიანებში, არის სიყვარული. მინდა ვუსურვო სიყვარული, ერთმანეთის პატივისცემა. მე ვფიქრობ, როცა ჯანმრთელად და სიყვარულით იქნები, ყველანაირი კეთილდღეობაც მოვა.

- **მეკვლის ტრადიცია თუ დაიცავით?**

- მეკვლის ტრადიცია? ბავშვობაში ვიყავი ხოლმე მეკვლე. სტუდენტობის დროს იყო ტრადიცია, როდესაც რამდენიმე მეგობარი მოდიოდა ხოლმე და ვხვდებოდით ახალ წელს. ახლა ტრადიცია შეიცვალა, თუმცა მეკვლე რა თქმა უნდა, გვყავდა.

- **ახალი, 2024 წლის დასაწყისში რა გინდათ უთხრათ მოსახლეობას?**

- მინდა ვუთხრა, რომ მოთმინება გამოიჩინონ, მესმის, რომ ძნელია აიტანო ტალახიანი ქუჩები, მეც მართლა ვწუხვარ ხოლმე მოუწესრიგებელი ინფრასტრუქტურის გამო, მაგრამ მოთმინება უნდა გამოვჩინოთ. არ ეგონოთ რომ ჩვენ ვერ ვხედავთ პრობლემებს. ჩვენც ვხედავთ ყველაფერს, ანალოგიურად განვიცდით და გვინდა, რომ რაც შეიძლება სწრაფად გამოსწორდეს მდგომარეობა. მართლა ასეთი განწყობა გვაქვს.

- **და ბოლოს რა ხდება თქვენს შემოქმედებით ცხოვრებაში.**

- რაც ხაშურში ვარ, თითქმის არაფერი არ დამიხატავს. გაჩერებული ვარ, დრო არ მაქვს.

- მადლობა ინტერვიუსთვის და ყოველივე საუკეთესოს გისურვებთ.

თ. ახალკაცი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს თანამშრომლები გაწეული საქმიანობისთვის დაჯილდოვდნენ

სამხარეო ადმინისტრაციაში გამართულ ღონისძიებაზე შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულმა მიხეილ შაყულაშვილმა რწმუნებულის მოადგილეებთან, მუნიციპალიტეტების მერებთან და საკრებულოების თავმჯდომარეებთან ერთად განვლილი ერთი წლის საქმიანობა შეაჯამა. რწმუნებულმა 2023 წელს წარმატებით განხორციელებულ პროექტებზე ისაუბრა და აღნიშნა, რომ განხორციელებული პროექტების მიხედვით, შიდა ქართლის რეგიონი საქართველოს მასშტაბით მოწინავეა. გარდა ამისა, ხაზი გაუსვა 2023 წლის მიღწევებს და შეკრებილებს საქართველოსთვის ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მინიჭება მიულოცა.

მოგვიანებით კი, რწმუნებულის მოადგილეებთან, მუნიციპალიტეტის მერებთან და საკრებულოების თავმჯდომარეებთან ერთად, განვლილი ერთი წლის განმავლობაში სამსახურეობრივი საქმიანობის სანიმუშო შესრულებისთვის, შიდა ქართლის მასშტაბით 42 საჯარო მოხელე დააჯილდოვა, რომლებიც, თავის მხრივ, მათსავე კოლეგების გადაწყვეტილებით შეირჩნენ. მათ შორის იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს 9 საჯარო მოხელე.

ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმატებულ თანამშრომლებს რწმუნებულთან ერთად ჯილდო გადასცეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა.

ჯილდო გადაეცა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელებს: თინათინ ხაჩიძეს, ირმა ნოზაძე-ჩადუნელს, ნინო სუხიაშვილს, ივანე ლოლაძეს, მარი მახაჭაშვილს, ავთანდილ ტაბატაძეს, გიორგი კერესელიძეს, ბესიკ გაჩეჩილაძეს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფროს სპეციალისტ თეა ჯაფარაშვილს.

,,მადლობას გიხდით თითოეულ საჯარო მოხელეს, რომლებიც ყოველდღიურ რეჟიმში თავდაუზოგავად და კეთილსინდისიერად ემსახურებით ჩვენი რეგიონის განვითარებასა და ზოგადად, სახელმწიფოს. უდიდესი პასუხისმგებლობა გაკისრიათ როგორც ქვეყნის, ისე ჩვენი მოსახლეობის წინაშე. თქვენი მხარდაჭერა ჩვენი ხელისუფლების ერთ-

ერთი მთავარი პრიორიტეტია. ჩვენი მიზანია, შეგიქმნათ სათანადო სამუშაო პირობები, გქონდეთ ღირსეული ანაზღაურება და რაც მთავარია, თქვენი შრომა იყოს დაფასებული. მინდა თითოეულ თქვენგან გულწრფელი მადლობა გადაგიხადოთ გაწეული სამსახურისთვის. წინ კიდევ არაერთი მნიშვნელოვანი გეგმა თუ სამუშაოა, რომელსაც ერთიანი ძალებით ერთობლივად განვახორციელებთ.“ - აღნიშნა მიხეილ შაყულაშვილმა.

უხვი ნალექისგან შექმნილი პრობლემები აღმოიფხვრა

ახალი წლის დღეებში მოსულმა უხვმა ნალექმა ქალაქ ხაშურსა და მუნიციპალიტეტის სოფლებში

პრობლემები შექმნა. დაიტბორა მოსახლეობის ეზოები და საკარმიდამო ნაკვეთები. ზოგიერთ ადგილას წყალმა საცხოვრებელ სახლებშიც შეაღწია.

უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობდა სამაშველო სამუშაოები.ადგილზე იმყოფებოდნენ მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე, ა(ა)იპ „ხაშურსერვისის“ ხელმძღვანელი ზურაბ ნოზაძე და ყველა შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები.

სამუშაოების მიმდინარეობაში განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს შიდა ქართლის საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წარმომადგენლებმა.

თენგიზ ჩიტიაშვილის განცხადებით, შემოსულია 100-ზე მეტი შეტყობინება, საიდანაც 70%-ზე მეტს მყისიერი რეაგირება მოჰყვა. სამუშაოები ახლაც გრძელდება და შემოსული შეტყობინებებიდან რეაგირების გარეშე არც ერთი არ დარჩება.

საჩუქრები ბავშვებს

ხაშურში არსებულ მცირე საოჯახო ტიპის ბავშვთა სახლების და დედათა და ბავშვთა თავშესაფრის ბენეფიციარებს, ხაშურის მერიამ, დამდეგი ახალი წელი, ტკბილეულით მიულოცა.

აქცია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით მოეწყო.

ხაშურის მუნიციპალიტეტში, უკიდურესი საჭიროების მქონე მრავალშვილიანი ოჯახებისთვის, საახალწლო პროდუქტები დარიგდა

საახალწლო ნობათი გადაეცათ შშმ პირთა „მომავლის სახლს“ და მეორე საჯარო სკოლასთან არსებულ „დღის მოვლის ცენტრს“.

დახმარებისთვის განკუთვნილი საკვები პროდუქტების ნაწილი, „გორმედის“ მიერ არის შეძენილი, რისთვისაც ხაშურის მუნიციპალიტეტი მხარდაჭერისა და გვერდში დგომისთვის გულწრფელ მადლობას უხდის.

აღსანიშნავია ისიც,რომ მერიის სოციალური პროგრამით,ფინანსური დახმარება, 25 000 მდე სოციალური სარეიტინგო ქულის მქონე 298 ოჯახს გადაეცემა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის წაღვლის ადმინისტრაციულ ერთეულში ე.წ. გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებში, წაღვლსა და ჩორჩანაში მცხოვრებ ბავშვებს საახალწლო საჩუქრები გადაეცა

ბავშვებს ახალი წელი მიულოცეს და საჩუქრები გადასცეს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელმა კონსტანტინე ფრუიძემ და მუნიციპალიტეტის მერიის სხვა წარმომადგენლებმა.

დასაჩუქრდნენ წაღვლის ალტერნატიული საბავშვო ბაღის აღსაზრდელები და წაღვლსა და ჩორჩანაში მცხოვრები საჯარო სკოლის დაწყებითი (პირველი-მეექვსე) კლასის მოსწავლეები.

საახალწლო დასაჩუქრების აქციაში წვლილი შეიტანა კომპანიამ „კოკა-კოლა ხაშური“ და მისმა ხელმძღვანელმა თამარ აბულაძემ.

აქცია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ორგანიზებით მოეწყო.

მოისმინეს პროკურორის განმარტებები ახალ კანონთან დაკავშვირებით

ხაშურის რაიონულმა პროკურორმა არჩილ ბედუკაძემ და პროკურატურის კანცელარიის უფროსმა ცისმარი ტალახაძემ სახელმწიფოს კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების მისაკუთრების ფაქტებზე, ამნისტიის კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით, ხაშურის ადმინისტრაციულ შენობაში შეხვედრა გამართეს.

მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში, სპეციალისტებსა და დაინტერესებულ მოქალაქეებს განემარტათ ამნისტიის შესახებ კანონის ინიციირების მიზანი, რომლითაც ათასობით მოქალაქე, რომელმაც სახელმწიფოს კუთვნილი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები დანაშაულებრივი გზით მიისაკუთრა, სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლდება.

პროკურორის განმარტებით, ამნისტია არ შეეხება საჯარო მოხელეებს, რომლებმაც დანაშაული სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ჩაიდინეს. ამნისტია ასევე არ გავრცელდება ორგანიზებული ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევებზე.

შეხვედრის დამსწრეებმა პროკურორისგან მათთვის საინტერესო შეკითხვებზე ამომწურავი პასუხები მიიღეს.

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

სოფლების დიდი და პატარა სატივეს დამაკავშირებელ გზის ნაპირას, გასულ კვირაში მოსული უხვი ნალექის შემდეგ, ჩამოიშალა მცირე მონაკვეთი.

პრევენციული ღონისძიებების ფარგლებში, მუნიციპალიტეტმა დაზიანების ადგილას ლითონის მოაჯირი დაამონტაჟა და ბეტონის ბორდიური მოაწყო.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს საინჟინრო გეოლოგიური კვლევა. სპეციალისტების მიერ გამოტანილი კვალიფიციური დასკვნის მიღებისთანავე დაიწყება საპროექტო სამუშაოები.

როგორც აღინიშნა, დაზიანების ადგილები მუნიციპალიტეტის მიერ შემოფარგლულია. ყველა დანარჩენ მონაკვეთზე მოძრაობა უსაფრთხოა.

როგორი იქნება 2024 - მწვანე ხის დრაკონის წელი და ვის გაუმართლებს ყველაზე მეტად - ვრცელი პროგნოზი აღმოსავლური ჰოროსკოპის მიხედვით

ბევრს სჯერა მთელ მსოფლიოში, რომ ყოველ წელს თავისი უნიკალური მახასიათებლები აქვს და ეს თითოეულ ჩვენგანზე ახდენს გავლენას. ამიტომაც, ბევრს აინტერესებს, როგორი იქნება 2024 წლის ენერგია, რას გვპირდება მომავალი წელი და რა მიმართულებით უნდა ვიყოთ შედარებით ფრთხილად:

აღმოსავლური კალენდრის მიხედვით, 2024 წელი მწვანე ხის დრაკონის წელია. დრაკონი სიძლიერის, კეთილშობილების, იღბლისა და წარმატების სიმბოლოა. მომდევნო წლის მთავარი ფერებია მწვანე და ხისფერი. იმის გამო, რომ აღმოსავლური კალენდარი თარიღების განსხვავებულ აღრიცხვას იყენებს, ახალი წელი, ყოველ წელს

განსხვავებულ დროს აღინიშნება და 21 იანვრიდან 20 თებერვლამდე პერიოდში მერყეობს.

ოფიციალურად, მწვანე ხის დრაკონის წელი 2024 წლის 10 თებერვალს დადგება და იგი 2025 წლის 28 იანვრამდე გაგრძელდება. ჩინური მითოლოგიისმიხედვით,დრაკონსშეუძლია,ქარი,წვიმაგააკონტროლოს, გავლენა მოახდინოს ამინდსა და მოსავალზე და ამავდროულად, მსოფლიოს კეთილდღეობა მოუტანოს. აღმოსავლური ჰოროსკოპის სისტემაში, დრაკონი 12 ცხოველიდან, მეხუთეა. ლეგენდის მიხედვით, ის პირველი უნდა ყოფილიყო, თუმცა, ლიდერობა დაკარგა. ქვეყნიერების მპყრობელმა, იუ-დიმ, ცხოველთა შორის რბოლა მოაწყო, რომ მათი რიგითობა განესაზღვრა. ლეგენდის მიხედვით, დრაკონს რბოლა უკვე დასრულებული ჰქონდა და ფინიშთანაც მალევე მივიდოდა, მაგრამ წააწყდა სოფელს, რომელსაც გვალვა და შიმშილი აწუხებდა. მან ღრუბლები გაფანტა და წვიმა წამოვიდა. შემდეგ კი, უხვი ნალექის გამო, წყალი გადაყლაპა და ადამიანები გადაარჩინა. როდესაც რბოლას დაუბრუნდა, დაინახა, რომ კურდღელს მგელი მისდევდა და წინ გაუშვა, რომ თავისი ბალახისმჭამელი მეგობარი გადაერჩინა. ამიტომაც, ითვლება, რომ დრაკონი ყველაზე კეთილშობილი, დიდსულოვანი და ღირსეული მითიური არსებაა და ჩინურ კულტურაში უძლიერეს სიმბოლოს წარმოადგენს.

აღსანიშნავია, რომ ხე, მისი მფარველი ნიშანი, ფიზიკურ და სულიერ ზრდას განაპირობებს, ამიტომაც მომდევნო წელს თავდაჯერებულ ადამიანებს, რომლებსაც კონკრეტული მიზანი და გეგმა აქვთ, წარმატება გარანტირებული აქვთ. მწვანე ფერი კი აღორძინებასთან, ახლის დასაწყისთან ასოცირდება. მწვანე ხის დრაკონის წელი არახელსაყრელ პირობებთან ადაპტირებას, სირთულეების ღირსეულად დაძლევასა და კიდევ უფრო გაძლიერებას გვასწავლის. რაც უფრო აქტიურად შევეცდებით, განსაცდელებს გავუმკლავდეთ და ბრძოლა არ შევწყვიტოთ, წლის მთავარი სიმბოლო მით უფრო მეტ ძალასა და მოტივაციას მოგვცემს.

აღმოსავლური ჰოროსკოპის მიხედვით, ის წელი, რომელსაც დრაკონი მართავს, წარმატებულია, ადამიანებს კარიერული ზრდის, ოჯახური ბედნიერების, ფინანსური კეთილდღეობის კუთხით მნიშვნელოვან პროგრესს განიცდიან. წარმატება ელის მათ, ვინც ბევრს შრომობს და საკუთარ თავზე მუშაობს, შეცდომებზე სწავლობს. დრაკონი შრომიმოყვარე და მიზანდასახულ, პატიოსან ადამიანებს განსაკუთრებით აფასებს და მათ წინსვლაში ხელს უწყობს. თუმცა, წლის განმავლობაში, შესაძლოა, ბევრი არაკეთილსინდისიერი ადამიანი აღმოაჩინოთ და გული დაგწყდეთ, იმედი გაგიცრუვდეთ, რადგანაც ბევრზე წარმოდგენა რადიკალურად შეგეცვლებათ.

დრაკონს ფინანსური ვალდებულებები არ უყვარს. ამიტომაც, 2024 წელს დიდი თანხის სესხება რეკომენდებული არ არის. არც საეჭვო გარიგებებსა და ხელშეკრულებებს უნდა დათანხმდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, წარუმატებლობა შეგხვდეთ.

დრაკონს რუტინული, ჩვეულებრივი რაღაცები არ მოსწონს. ამიტომ, უმჯობესია, თუ ბანალურ და მოსაწყენ ნივთებზე უარს იტყვით. გააფორმეთ სახლი ახალი, ნათელი დეკორაციებით. არანაირი სევდა და მოწყენილობა - შეიქმენით დადებითი განწყობა და ახალ წელს ღიმილით შეხვდით.

მთავარია, დადებითი განწყობა შეინარჩუნოთ და მხიარულად იყოთ, იმას, სახლში აღნიშნავთ ახალ წელს, სტუმრად, თუ წვეულებაზე, დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

როგორც უკვე მიხვდით, წლის მთავარი ფერი მწვანე იქნება. აღნიშნული ფერის ყველანაირი ვარიაცია შეგიძლიათ სცადოთ. ღია მწვანიდან დაწყებული, ჭაობისფრით დამთავრებული. გარდა ამისა, დრაკონის 2 ყველაზე საყვარელი ფერი ოქროსფერი და წითელია. ამიტომაც, ახალ წელთან შესახვედრად სამოსის შესარჩევად, სუფრის გასაფორმებლად თუ დეკორაციების შესაქმნელად მწვანეს, წითელს, ხისფერსა და ოქროსფერს განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეთ. უპირატესობა მიანიჭეთ ხავერდის, აბრეშუმის, ატლასის, შიფონის ქსოვილებს.

ჯობს, ოქროს ნივთები მოირგოთ. მაშინაც კი, თუ ოქროთი დამზადებული აქსესუარები არ გიზიდავთ, მცირე დეტალი მაინც აირჩიეთ, რომ წლის მთავარი სიმბოლოს კეთილგანწყობის მოპოვება მოახერხოთ. ასევე, უპირატესობა მიანიჭეთ ოქროსფერ ნივთებს.

გახსოვდეთ, რომ დრაკონს სასწაულების მოხდენა შეუძლია. დაგეხმარებათ, რომ მთები გადადგათ და ის საქმეებიც კი, რომლებზეც ხელი ჩაიქნიეთ, უკეთესობისკენ შემოაბრუნოთ. მთავარია, შრომა არ დაგეზაროთ.

ვის გაუმართლებს მწვანე ხის დრაკონის წელს ყველაზე მეტად?

ასტროლოგების თქმით, მომდევნო წელი ვირთხის, მაიმუნისა და მამლის წელში დაბადებული ადამიანებისათვის ყველაზე ხელსაყრელი და წარმატებული იქნება. მწვანე ხის დრაკონის წელს კი ხარის, გველისა და ძაღლის წარმომადგენლებს შესაძლოა, პირად და პროფესიულ საქმიანობაში გარკვეული სირთულეები შეხვდეთ. განსაკუთრებით იღბლიანი დრაკონის წელში დაბადებული ადამიანები იქნებიან. მათ დიდი შანსი აქვთ, რომ რადიკალური ცვლილებები გამოიწვიონ და უკეთესი ყოველდღიურობა შექმნან.

როგორი იქნება 2024 წელი აღმოსავლური ჰოროსკოპის თითოეული ნიშნისთვის

ვირთხა (1960, 1972, 1984, 1996, 2008, 2020)

იმის გამო, რომ დრაკონს ვირთხის მიმართ კეთილგანწყობა აქვს, აღნიშნულ წლებში დაბადებულ ადამიანებს ყველა მცდელობაში გაუმართლებთ და შეძლებენ, წარმატებას ბევრი მიმართულებით მიაღწიონ. შესაძლოა, 2024 წლის პირველ ნახევარში აღმოაჩინოთ, რომ თქვენი რომანტიკული და მეგობრული ურთიერთობები არ არის ისეთი, როგორიც გინდოდათ. ამიტომაც, მოგიწევთ, საკუთარ სურვილებსა და ქმედებებზე კიდევ ერთხელ კარგად დაფიქრდეთ. თავდაჯერებულობა, რა თქმა უნდა, ძალიან კარგია, მაგრამ სხვების სურვილებზეც იფიქრეთ, გაეცით დადებითი ემოციები. სხვა მხრივ, თქვენთვის 2024 წელი ერთ-

ერთი ყველაზე ხელსაყრელია.

ხარი (1961, 1973, 1985, 1997, 2009)

აღმოსავლური ჰოროსკოპის მიხედვით, ხარი და დრაკონი ყველაზე ძლიერი ნიშნები არიან, ამიტომაც მათ შორის კონკურენციაა. შესაბამისად, აღნიშნულ წლებში დაბადებულ ადამიანებს მოუწევთ, 2024 წელს სხვადასხვა სფეროში სიფრთხილე გამოიჩინონ. უფრო

როგორი იქნება 2024 - მწვანე ხის დრაკონის წელი და ვის გაუმართლებს ყველაზე მეტად - ვრცელი პროგნოზი აღმოსავლური ჰოროსკოპის მიხედვით

ზუსტად კი, ხარის წელში დაბადებული ადამიანები პირად და საქმიან ურთიერთობებში კონკურენტების გაზრდას იგრძნობენ და მოუწევთ, საკუთარი უპირატესობის დასამტკიცებლად იბრძოლონ. 2024 წელს ხარი რომანტიკის ხიბლს საბოლოოდ გაიგებს და პირადი ურთიერთობების ახალ საფეხურზე აყვანას შეძლებს. თუ უკვე ურთიერთობაში ხართ,

ასტროლოგები გირჩევენ, რომ დრო უსაფუძვლო კამათსა და შუღლში არ დაკარგოთ.

ვეფხვი (1962, 1974, 1986, 1998, 2010)

მწვანე ხის დრაკონის წელი სანდო მეგობრებსა და წარმატებულ ბიზნესპარტნიორებს გპირდებათ. 2024 წელი თქვენთვის მოულოდნელობებითა და სიურპრიზებით იქნება სავსე. შესაძლოა, შემოსავლის ახალი წყაროები გამოჩნდეს და საკუთარი ოცნებების ასრულება შეძლოთ. როგორც წესი, ვეფხვები ინიციატივის გამოჩენას არ ერიდებიან და საკმაოდ აქტიური და თავდაჯერებული ადამიანები არიან. ეს კი დრაკონს განსაკუთრებით მოსწონს. 2024 წელი თქვენს ყველა წამოწყებას წაახალისებს და საკმარისი მონდომების შემთხვევაში, წარმატებას აუცილებლად მიაღწევთ.

კურდღელი (კატა) (1963, 1975, 1987, 1999, 2011)

ასტროლოგების თქმით, 2024 წელი კურდღლისთვის შედარებით რთული იქნება. კურდღელს, როგორც წესი, აღმოსავლური ჰოროსკოპის მიხედვით, მგრძნობიარე, ცოტა კაპრიზული ბუნება ახასიათებს. დრაკონს კი შეუდრეკელი, მამაცი, მტკიცე ხასიათის მქონე ადამიანები მოსწონს. თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ 2024 წელი კურდღლის წელში დაბადებული ადამიანებისათვის უარყოფითად წარიმართება. ამ წლის განმავლობაში ბევრ რამეს ისწავლით, საკუთარ თავზე დაკვირვების შესაძლებლობა გექნებათ და მიხვდებით, რა გჭირდებათ წარმატებისთვის. წარმატება კი მთლიანად თქვენს სისხარტესა და მოქნილობაზე იქნება დამოკიდებული.

დრაკონი (1964, 1976, 1988, 2000, 2012)

2024 წლის მთავარი სიმბოლოს წარმომადგენლებს ასტროლოგები ურჩევენ, რომ თავიანთი სურვილების გამოხატვა და მიზნებისკენ ნაბიჯების გადადგმა დაიწყონ. დრაკონი ყველაფერში შემოქმედებითობასა და არასტანდარტულ ხედვას აფასებს. ამიტომაც, თქვენს იდეებს, სურვილს, რომ წარმატებას მიაღწიოთ, განსაკუთრებით დაუჭერს მხარს. გარდა ამისა, ეს წელი, შესაძლოა, თქვენთვის გადაფასების პერიოდი აღმოჩნდეს. შეიძლება, ადამიანებმა გული გატკინონ და იმედები გაგიცრუონ. თუმცა, მიხვდებით, რომ დრო წვრილმანებზე აღარ უნდა დაკარგოთ. ასე ნამდვილ ბედნიერებას ხელიდან უშვებთ და ზედმეტად ნერვიულობთ იმაზე, რაც ამდენ ყურადღებას არ იმსახურებს.

გველი (1965, 1977, 1989, 2001, 2013)

გველის წელში დაბადებულ ადამიანებს წარმატების მიღწევა შეუძლიათ, თუკი პატარა ნაბიჯების თეორიას მიჰყვებიან. თუ ყოველდღიურად თქვენი მიზნებისკენ პატარა ნაბიჯს გადადგამთ და ერთდროულად, გრანდიოზული შედეგის მოლოდინი არ გექნებათ, გაცილებით უკეთეს შედეგს მიიღებთ. მნიშვნელოვანია, რომ საკუთარი უპირატესობები არ დამალოთ, ბოლომდე გამოავლინოთ თქვენი უნარები, გამოხვიდეთ ჩრდილიდან და არ შეგეშინდეთ აქტიურობის. დრაკონი ტრანსფორმაციისა და გაბედული ექსპერიმენტებისაკენ მოგიწოდებთ. ასე წარმატების მიღწევას აუცილებლად შეძლებთ.

ცხენი (1966, 1978, 1990, 2002, 2014)

2024 წელს ეს ბევრ ახალ ნაცნობს შეიძენთ და აღმოჩნდებით არჩევანის წინაშეც - უნდა შეუშვათ თუ არა თქვენს ცხოვრებაში ახალი მეგობრები, კოლეგები და გულშემატკივრები. ასტროლოგები გირჩევენ, რომ ჯობს, წინასწარ ადამიანები კარგად შეაფასოთ და დააკვირდეთ იმასაც, რა გავლენა აქვთ მათ თქვენზე. თუ ნახავთ, რომ ეს ურთიერთობები ფუჭი და ტოქსიკურია, სასწრაფოდ გაერიდეთ. ჯანმრთელობა, ნერვები და დრო მხოლოდ იმ ადამიანებზე უნდა დახარჯოთ, რომლებიც მოგწონთ.

ცხვარი (თხა) (1967, 1979, 1991, 2003, 2015)

დრაკონი აღნიშნული ნიშნის მიმართ კეთილგანწყობილია, მაგრამ ხანდახან მისი გულჩვილობა და ზედმეტად მიმნდობი ხასიათი არ მოსწონს. ამიტომაც, თუ გსურთ, 2024 წელს წარმატებას მიაღწიოთ, კიდევ უფრო მეტი სიმტკიცისა და შეუპოვრობის გამოჩენა მოგიწევთ. 2024 წელი პირად ცხოვრებაში სერიოზულ რომანსა და ქორწინებასაც კი გპირდებათ. მთავარია, საკუთარ თავს ბედნიერების უფლება მისცეთ, სიახლეების მიმართ გადამეტებული შიში მოიშოროთ და ახალი ეტაპი დაიწყოთ.

მაიმუნი (1968, 1980, 1992, 2004, 2016)

დრაკონი 2024 წელს საკუთარი თავის სრულად გამოხატვაში დაგეხმარებათ და მოგცემთ შესაძლებლობას, თქვენი უნარები ბოლომდე გამოავლინოთ. წლის მთავარი სიმბოლო თქვენს მონდომებას აუცილებლად დააფასებს და მხარს დაგიჭერთ. ამიტომაც, ბევრი მიმართულებით იღბალი და წარმატება გელით. თუმცა, მნიშვნელოვანია, პირად ცხოვრებაში შედარებით ფრთხილად იყოთ. ნებისმიერმა გაუაზრებელმა ნაბიჯმა შესაძლოა, სერიოზულ დაპირისპირებამდე მიგიყვანოთ.

მამალი (1969, 1981, 1993, 2005, 2017)

დრაკონი მამლის სიმტკიცით, ნიჭითა და შეუპოვრობით აღფრთოვანებულია, ამიტომაც, 2024 წელს ამ ადამიანებს ყველაფერში მხარს დაუჭერს და წაახალისებს. წლის მეორე ნახევარში სერიოზული არჩევანის გაკეთება მოგიწევთ. შესაძლოა, პირად ცხოვრებაში ყველაფერი რადიკალურად შეიცვალოს და მოულოდნელად გამოჩნდეს ადამიანი, რომელიც თავს ბედნიერად გაგრძნობინებთ. მათ, ვინც უკვე ურთიერთობაშია, ასტროლოგები ურჩევენ, რომ მეორე ნახევარს უფრო მეტი დრო დაუთმონ, საერთო ჰობი, საქმე იპოვონ. ეს თქვენს კავშირს კიდევ უფრო გააძლიერებს და თავს ბედნიერად იგრძნობთ.

ძაღლი (1970, 1982, 1994, 2006, 2018)

2024 წელი პოზიტიურ სიახლეებსა და გამართლებას გპირდებათ. დრაკონს თქვენი პატიოსნება და თავდადება განსაკუთრებით მოსწონს. ამიტომაც, თქვენს წამოწყებებს, სიახლეების სურვილსა და განვითარებას წაახალისებს. მაშინაც კი, თუ გარემო მტრულად დაგხვდებათ, თქვენ გამარჯვების მოპოვებასა და სასურველი შედეგის მიღებას შეძლებთ. ადამიანებს დააკვირდებით და მათგანაც ისეთივე გულწრფელობასა და პატიოსნებას მოითხოვთ, როგორსაც თქვენიდან იღებენ. თუკი ვინმე

შეეცდება, მანიპულაციის ქვეშ მოგაქციოთ, მალევე ამოიცნობთ და თქვენი ცხოვრებიდან გაუშვებთ.

ღორი (1971, 1983, 1995, 2007, 2019)

მწვანე ხის დრაკონის წელი ღორს კეთილშობილების, პატიოსნებისა და გამბედაობისთვის დააჯილდოებს და ბევრ წარმატებას ჰპირდება. მეგობრებთან და საყვარელ ადამიანებთან ჰარმონიული ურთიერთობა გექნებათ. თუმცა, ძლიერი და ჯანსაღი ურთიერთობის დასამყარებლად, თანმიმდევრული და ტაქტიანი უნდა იყოთ, არ უნდა იქცეთ აგრესორად და არც მსხვერპლის როლში წარმოიდგინოთ საკუთარი თავი. სხვა შემთხვევაში, ურთიერთობებში იდილია გარანტირებული გაქვთ.

რას ჰპირდება ჩინური ჰოროსკოპი 2024 წელს დაბადებულ ბავშვებს

დრაკონის წელში დაბადებული ბავშვებს უსაზღვრო ენერგია და ცნობისმოყვარეობა ახასიათებთ. ისინი მშობლების, მასწავლებლებისა და უცნობების ყურადღების მიპყრობას თანდაყოლილი ქარიზმით ახერხებენ. საკუთარი თავის დამკვიდრება შესანიშნავად გამოსდით. ვერ იტანენ თვალთმაქცობას, ცილისწამებასა და პესიმიზმს. არიან ძალიან ძლიერი და გულუხვი ადამიანები. ხშირად, საკუთარი ქცევითა და შემართებით, სხვებისთვისაც მოტივაცია ხდებიან და ირგვლივ მყოფებს შთაგონებას აძლევენ.

ულამაზესი და გამორჩეული..... ასე შეაფასა ყველამ ახალი წლის ზეიმი ხაშურის ცენტრში. საოცარი ილუმინაციები, რომლის მსგავსი მანამდე არ ყოფილა ჩვენს ქალაქში, დღესასწაულს ულამაზეს ელფერს სძენდნენ. ზღაპრის გმირები, საახალწლო სოფელი, სანტა კლაუსები. საჩუქრების ზღვა და ბრწყინვალე მომღერლები ისეთ განწყობას ქმნიდნენ, რომლის დასრულება არასოდეს გინდა. ბავშვების გაბრწყინებული სახეები კიდევ დამატებითი ხიბლი იყო დღესასწაულისა. გრანდიოზული ფოიერვერკი კი ნიშანი იმისა, რომ ჩვენ, ყველამ ახალ, 2024 წელში დავიწყეთ სიცოცხლე.

ბედნიერი ყოფილიყოს ეს წელი ჩვენი მუნიციპალიტეტისთვის და სრულიად საქართველოსთვის.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.

E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.

D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.